ივანეჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის
ოქმი N4
25.04.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

საბჭოს მდივნის ერთჯერადად არჩევა

1. საბაკალავრო პროგრამაში: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლება" – 60 კრედიტი ცვლილებების დამტკიცება.
2. დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კონკურსი
   3.1 კანდიდატთა შერჩევის საფაკულტეტო წესში ცვლილების შეტანა.კერძოდ: დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების საფაკულტეტო წესის III, VII, IX და X პუნქტში ცვლილებების შეტანა
   3.2 დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების კომისიის განსაზღვრა.
4. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

თავჯდომარე: დეკანი,პროფ. თ. გაგოშიძე

მდივანი: ასოც. პროფესორი. მარწყვიშვილი

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

პროფესორი: ქ. ჭკუასელი; ლ. სურმანიძე, ასოც./პროფესორები: მ. მელიქიშვილი, გ. გოროშიძე, ი.ჟვანია, ა. ქიტიაშვილი, ე. ფირცხალავა, მ. დესპოტაშვილი, მ. მესტვირიშვილი, თ. აბაშიძე, ლ. ხეჩუაშვილი, შ. მამუკაძე, ლ. არუთინოვი, ასისტ./პროფესორები:ი. გედევანიშვილი, ლ. ჩხიკვიშვილი.

<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>

ანა გელაშვილი

ნათია კაპანაძე

ქეთევან ტუხაშვილი

სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 21 წევრი.

განიხილეს:

1. **საბჭოს მდივნის ერთჯერადად არჩევის საკითხი**

   საბჭოს თამჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი საპატიო მიზეზის გამო ვერ ახერხებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას. ამიტომ მან საბჭოს შესთავაზა მიმდინარე სხდომისთვის მდივნის არჩევა.

აზრი გამოთქვეს: საბჭოს მდივნად დასახელდა ასოცირებული პროფესორი -ხათუნა მარწყვიშვილი

კენჭი უყარეს: ხათუნა მარწყვიშვილის კანდიდატურას

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: ფაკულტეტის მიმდინარე საბჭოს სხდომაზე, საბჭოს მდივნის მოვალეობა ერთჯერადად შეასრულოს ასოცირებულმა პროფესორმა ხათუნა მარწყვიშვილმა.

2. **საბაკალავრო პროგრამაში: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლება" – 60 კრედიტი ცვლილებების დამტკიცება.**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც./პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ საბაკალავრო პროგრამაში: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლება" – 60 კრედიტი, შეტანილი იქნა ცვლილებები. კერძოდ, დაზუსტდა პროგრამის სახელწოდება და სილაბუსებში შევიდა ტექნიკური ხასიათის ცვლილებები. ასოც, პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა საბჭოს წინაშე დააყენა წინადადება, მხარი დაუჭირონ აღნიშნულ ცვლილებებს

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებას და დაამტკიცა ერთხმად.

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს ცვლილებები საბაკალავრო პროგრამაში: მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა „მულტილინგვური (მრავალენოვანი) განათლება" – 60 კრედიტი.

3. **ცვლილებები დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კონკურსის საფაკულტეტოს წესში.**

3.1 დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების საფაკულტეტო წესის III, VII, IX და X პუნქტში ცვლილებების შეტანა.

აზრი გამოთქვეს:

პროფესორმა თამარ გაგოშიძემ და ასოცირებულმა პროფესორმა ანი ქიტიაშვილმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების საფაკულტეტო წესის VII მუხლში შეტანილი ცვლილება განსაზღვრულიყო, არა ბოლო სამი, არამედ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციის,

განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების გათვალისწინებით.

კენჭი უყარეს:

დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების საფაკულტეტო წესის ცვლილებებს

მომხრე - 21

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების საფაკულტეტო წესის III, VII, IX და X პუნქტში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

III. საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული კომისია, რომლის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს *ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი.*

VII. დაფინანსების მისაღებად ყოველი სემესტრის დასწყისში ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით ცხადდება კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ ფაკულტეტის II-VI სემესტრის დოქტორანტებს. კანდიდატთა შერჩევა ხორციელდება აკადემიური მოსწრების (GPA არ უნდა იყოს 3.5-ზე ნაკლები), *ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული პუბლიკაციის, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების გათვალისწინებით.*

IX. კომისია ვალდებულია კანდიდატთა შეფასებისას დაეყრდნოს რექტორის №126 ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრულ სამეცნიერო პუბლიკაციათა კლასიფიკაციას (სადაც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის სახეობა რიგითი ნომრის მიხედვით მოცემულია რანჟირებულად, რეიტინგის კლებით), *რომელიც გათვალისწინებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრულ კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმში (დანართი 1).*

X. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა ფაკულტეტის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ (იხ. დანართი 2)
- ავტობიოგრაფია (CV)
- სამეცნიერო პუბლიკაციების, *განხორციელებულისამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი(შევსებული ფორმა, მოცემული დანართი 1–ში)*[1]
- სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ

---

[1]კომისიას უფლება აქვს კანდიდატს მოსთხოვოს ცნობა აპლიკაციაში მითითებული განხორციელებული აქტივობების შესახებ

- ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით

3.2 დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების კომისიის განსაზღვრის საკითხი.

აზრი გამოთქვეს:
სტუდენტური თვითმართველობის წევრებმა წარადგინეს ქეთევან ცანავას კანდიტატურა. პროფესორებმა კომისიის სათადარიდო წევრად დაასახელეს - ასოცირებული პროფესორი ლილი ხეჩუაშვილი.

კენჭი უყარეს: კომისიას შემდეგი შემადგენლობით:

1. თავმჯდომარე: ხათუნა მარწყვიშვილი, ასოცირებული პროფესორი
2. მოადგილე: ეფემია ხარაძე, ასისტენტ პროფესორი
3. ნინო ჩახუნაშვილი, ასისტენტ პროფესორი
4. ია აფთარაშვილი, ასისტენტ პროფესორი
5. ქეთევან ცანავა, სტუდენტი

სათადარიგო წევრი: ლილი ხეჩუაშვილი, ასოცირებული პროფესორი.

მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: **დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების საკონკურსო კომისია** **შემდეგი შემადგენლობით:**

1. **თავმჯდომარე: ხათუნა მარწყვიშვილი, ასოცირებული პროფესორი**
2. **მოადგილე: ეფემია ხარაძე, ასისტენტ პროფესორი**
3. **ნინო ჩახუნაშვილი, ასისტენტ პროფესორი**
4. **ია აფთარაშვილი, ასისტენტ პროფესორი**
5. **ქეთევან ცანავა, სტუდენტი**

კომისიის სათადარიგო წევრი: ლილი ხეჩუაშვილი, ასოცირებული პროფესორი

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / /

სხდომის მდივანი: ასოცირებული პროფესორი

ხათუნა მარწყვიშვილი / /

დოქტორანტთა ყოველსემესტრული დაფინანსებისათვის კონკურსანტთა შერჩევის კრიტერიუმები

I	ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო–კვლევითი პუბლიკაცია	ქულა	რაოდენობა
1	• მაღალრეიტინგული, რეცენზირებული (საერთაშორისო რეცენზირების მქონე Peer-reviewed) სამეცნიერო მონოგრაფია უცხო ენაზე (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია), რომელიც ინდექსირებულია ისეთი მონაცემთა ბაზების მიერ, როგორებიცაა: Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate • იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ში • ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია, რომელიც აღიარებულია ERIH-ის (European Reference Index of the Humanities) მიერ	30	
2	• სამეცნიერო სტატია, რომელიც ინდექსირებულია ისეთ მონაცემთა ბაზებში, როგორებიცაა: ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate • სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის საკონფერენციო მასალების ციტირების ინდექსით • ქართულენოვანი ან სხვა ენაზე შესრულებული, რეცენზირებული (რეცენზირების მქონე Peer-reviewed) მონოგრაფია (მათ შორის ლექსიკოგრაფიული, წყაროთმცოდნეობითი, ტექსტოლოგიური კვლევების ამსახველი მონოგრაფია). [საქართველოში გამოცემული სამეცნიერო პუბლიკაციების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს კონკრეტულ პუბლიკაციაზე უნივერსიტეტის მოთხოვნის არსებობისას რეცენზიების წარმოდგენა]	25	
3	• რეცენზირებული (Peer-reviewed) სამეცნიერო სტატიები სხვა საერთაშორისო ჟურნალებში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ჰყავთ საერთაშორისო სარედაქციო საბჭო, ასევე რომლებიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით და არის ღია საერთაშორისო კონტრიბუციისთვის • სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში	20	

	• ქართველოლოგიური სამეცნიერო მიმართულებებისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი • სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში,რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar- ში		
4	• საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ • საკონფერენციო თეზისები, ინდექსირებული Google Scholar - ის მიერ	15	
5	• გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე, ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში	10	
6	• გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში	5	

II	**ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი აქტივობა**	**ქულა**	**რაოდენობა**
7	საერთაშორისო სამეცნიერო–კვლევით პროექტში მონაწილეობა [მათ შორის: შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო–კვლევითი პროექტი; Erasmus, DAAD თუ სხვა საერთაშორისო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო–კვლევთი პროექტი]	25	
8	ადგილობრივ სამეცნიერო–კვლევით პროექტში მონაწილეობა [მათ შორის: შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო–კვლევითი პროექტი; ფაკულტეტის მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროექტი და სხვ.]	20	
9	საზღვარგარეთ გამართულ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა [მათ შორის: სამეცნიერო კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი, ბიენალე]	15	
10	ფაკულტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო ან სამეცნიერო–პოპულარულ აქტივობებში მონაწილეობა	10	

	[მათ შორის: ფსიქოლოგიის კოლოკვიუმი, ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენცია, ფორუმი, სიმპოზიუმი, ბიენალე და სხვ.]		
11	ადგილობრივ სამეცნიერო ან სამეცნიერო–პოპულარულ აქტივობებში მონაწილეობა	5	

III	**ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობა**	**ქულა**	**რაოდენობა**
12	უცხოეთში გამართულ სასწავლო აქტივობაში მონაწილეობა [მათ შორის: გაცვლითი სემესტრი; აკადემიური სტაჟირება]	15	
13	სასწავლო აქტივობაში მონაწილეობა [მათ შორის: ვორქშოპი; ტრენინგი და სხვ.]	10	